კორპორაციული მართვის პრობლემები საქართველოში

ნინო თალაკვაძე

მარიამი წიკლაური

ქეთევან მოდებაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ღვალაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო თალაკვაძე

მარიამი წიკლაური

ქეთევან მოდებაძე

თარიღი:

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში აღწერილია კორპორაციული მართვის პრობლემები საქართველოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კორპორაციული მართვის კულტურას ახასიათებს თავისებურებანი, ამიტომაც მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა განსხვავებულია დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში. ნაშრომი მოიცავს:

- სამართლებრივ ნაკლოვანებებს
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგელობის აღქმის პრობლემას
- სამეთვალყურეო საბჭოში არსებულ გართულებებს.
- აქციონერთა პრობლემებს
- ინფორმაციის გამჭირვალობასთან დაკავშირებულ პრობლემებს

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის პროექტის ტიპად განისაზღვრა დესკრიპტული მარკეტინგული კვლევა. გამოკითხვა განვახორციელეთ სტრუქტურირებული ანკეტის მეშვეობით. სამიზნე აუდიტორია გახლდათ კორპორაციების აქციონერები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კორპორაცია, მართვა, პრობლემები.

Abstract

Master's thesis describes the corporate governance problems in Georgia. It should be mentioned that Georgian corporative governence is characterized by features So problems connected to it deffers in western countries and Georgia. The work includes:

• Low defects

• Corporate Social Responsibility perception problem

• Complications in the Supervisory Board

• Shareholders problems

• Issues related to information transparency

The type of the project is quantitative research. The poll was carried out with a structured form. Target audience was corporate shareholders.

Key Words: Corporation, Govern, Problems.

მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ბატონ ირაკლი ღვალაძეს გაწეული დახმარებისთვის. მან აქტიურად იმუშავა ჯგუფთან ერთად, რათა ნაშრომი სრულყოფილი და რელევანტური ყოფილიყო. მისი პასუხისმგებლობა და აქტიური ჩართულობა ყოველკვირეულ შეხვედრებში დიდი მოტივაცია იყო მთელი გუნდისთვის. ბატონი ირაკლის მიერ მოცემული შენიშვნები და რეკომენდაციები ავლენდა მის პროფესიონალიზმს.

ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ კვლევაში მონაწილე აქციონერებს, რათა მათ გამოავლინეს მოქალაქეობრივი ნება, დაგვითმეს დრო და გაგვიზიარეს საკუთარი აზრი.